უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

10/06/2026

MES 3 26 0000695965

## გადაწყვეტილება

## "შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 15 დეკემბრის № 1787283 გადაწყვეტილების დანართში ცვლილებების შეტანის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 28 მაისის სხდომაზე (ოქმი № 698299, 10/06/2026) დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. შპს თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 15 დეკემბრის № 1787283 გადაწყვეტილების დანართში შემდეგი ცვლილებები:

1.1 დანართის მე-6 ნაწილში - "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიან რუსულენოვან საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით მისანიჭებელი კვალიფიკაცია და დეტალური სფეროს დასახელება და კოდი სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მიხედვით, მიეთითოს შემდეგნაირად:
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: "დიპლომირებული სტომატოლოგი"
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მიხედვით: "0911 - დენტალური მედიცინა".

1.2 დანართის მე-7 ნაწილში „სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით მისანიჭებელი კვალიფიკაცია და დეტალური სფეროს დასახელება და კოდი სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მიხედვით, მიეთითოს შემდეგნაირად:
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: "დიპლომირებული სტომატოლოგი"
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მიხედვით: "0911 - დენტალური მედიცინა".

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 10 ივნისის №698299 სხდომის ოქმის 1-ლი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქავთარია ზურაბი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჭელიძე სერგო